ინტერნეტ-მაღაზიის ტექნიკური დოკუმენტაცია

მომხმარებლის მხარე

ბმული : demo.vnadiradze.ge

ენები : ქართული, ინგლისური (შესაძლებელია დამატება)

ტექნოლოგიები : HTML5, CSS3, Bootstrap 3, Javascript, jQuery, Ajax, PHP 7.2.34, LARAVEL 7, MySql

მომხმარებლის მხარის (ე.წ 'ფრონტენდის') გვერდებს გააჩნიათ საერთო ფრაგმენტები : ქუდი (header) და ძირი (footer).

საიტის ქუდი

- ადმინისტრატორის პანელიდან მართვადი, ბმულით მთავარ გვერდზე მიმაგრებული ლოგო
- მენიუ და ენების გადამრთველი
- ძებნის ღილაკი
- ავტორიზაციის ღილაკი (რომელსაც ახლავს მოციმციმე წერტილი თუ მომხმარებელს ავტორიზაცია აქვს გავლილი)
- სურვილების სიის მთვლელი
- სამომხმარებლო კალათის მთვლელი

საიტის ძირი



- ადმინისტრატორის პანელიდან მართვადი, ბმულით მთავარ გვერდზე მიმაგრებული ლოგო
- ასევე ადმინისტრატორის პანელიდან მართვადი მცირე ზომის, სლოგანის მაგვარი ტექსტი
- სწრაფი ბმულები
- **ანგარიში** : თუ მომხმარებელს ავტორიზაცია აქვს გავლილი ჩანს პროფილის გვერდთან დაკავშირებული ბმულები, წინააღმდეგ შემთხვევაში - ავტორიზაცია/რეგისტრაციის ბმულები
- **სიახლეების გამოწერა** : თუ მომხმარებელი დაინტერესებულია, რომ თვალი ადევნოს მაღაზიის მუშაობასთან დაკავშირებულ სიახლეებს, შეუძლია ამ სექციაში განთავსებულ ტექსტურ ველში აკრიფოს თავისი ელ_ფოსტის მისამართი და დააჭიროს ღილაკს - '**გამოწერა**', თუ მას უკვე არ აქვს გამოწერილი სიახლეები , დაუბრუნდება შესაბამისი შეტყობინება სიახლეების წარმატებით გამოწერის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მას უკვე გამოწერილი აქვს სიახლეები. ეს ყველაფერი ხდება **გვერდის ხელახალი ჩატვირთვის გარეშე**, **Ajax ტექნოლოგიის** გამოყენებით
- **სოციალური ქსელების ბმულები** : სოც-ქსელების ლოგოები ადმინისტრატორის პანელიდან მართვადი ბმულებით

მთავარი გვერდი

კატეგორიების სექცია

ძირითადი კატეგორიების ფოტოები სათაურებითა და კატეგორიების შიდა გვერდებზე გადასასვლელი ბმულებით :

პროდუქციის სექცია



სექციაში განთავსებულია შემთხვევითად არჩეული 8 ცალი პროდუქტი, ასევე ფილტრი კატეგორიების მიხედვით, ფილტრი სექციის ახალ შიგთავსს აგენერირებს **Ajax ტექნოლოგიის** გამოყენებით .

კონკრეტული პროდუქტის არე



თუ პროდუქტი ხელმისაწვდომია და ამავე დროს მისთვის ადმინისტრატორს ჩართული აქვს სტატუსი- '**ახალი**', მარცხენა ზედა კუთხეში ჩანს შესაბამისი წარწერა. ასევე თუ პროდუქტს მითითებული აქვს ძველი და ახალი ფასები, **სისტემა ანგარიშობს** ფასთა სხვაობის პროცენტულ მაჩვენებელს და მარჯვენა ზედა კუთხეში გამოაქვს შესაბამისი შეტყობინება.

პროდუქტის არეში ასევე განთავსებულია **ფოტოს გადიდების**, **პროდუქტის სურვილების სიაში** დამატების და პროდუქტის **კალათში დამატების** ღილაკები.

სლაიდერი

ამ სექციაში განთავსებულია ფოტოები წარწერითა და მიმაგრებული ბმულებით, ყველაფერი იმართება ადმისტრატორის პანელიდან.

პროდუქციის სექცია



ამ სექციაში განთავსებულია ასევე შემთვევითად არჩეული 9 პროდუქტი, რომელიც დაყოფილია 3 კატეგორიად :

- ტრენდული
- ბესტსელერი
- განსაკუთრებული

პროდუქტის არეში განთავსებულია **რეიტინგის მაჩვენებელი** ყვითელი ვარსკვლავები, რეიტინგი განისაზღვრება, მომხმარებლის მიერ, პროდუქტის შიდა გვერდიდან **გაკეთებული შეფასებების** მიხედვით.

ფასდაკლების აქცია

აქციის ფოტოს ატვირთვა და დასრულების თარიღის განსაზღვრა ხდება ადმინისტრატორის პანელიდან, აქვეა შესაძლებელი **აქციასთან კონკრეტული პროდუქტის მიბმაც**, თუ იმ პროდუქტს, რომელსაც ადმინისტრატორი მიაბამს აქციას, მითითებული აქვს ძველი და ახალი ფასები, აქციის სათაურის ქვემოთ გამოჩნდება ფასთა სხვაობის პროცენტული მაჩვენებელი. თუ ადმინისტრატორს **აღარ სურს, რომ აქცია ჩანდეს** მთავარ გვერდზე, უბრალოდ **გამოურთავს მას სტატუსს**.

მაღაზია



ეს არის პროდუქციის ჩამონათვალის ძირითადი გვერდი. თუ გვერდზე მოვხვდებით ისე, რომ **კატეგორია არ გვექნება** არჩეული, მაშინ **მაღაზიაში გამოჩნდება სტატუსჩართული ყველა პროდუქტი**, ხოლო თუ კატეგორია არჩეულია და იგი **პირველი დონისაა** მაშინ გამოჩნდება ამ **კატეგორიის შვილობილი კატეგორიების ყველა შვილობილი**, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უშუალოდ **კატეგორიის შვილობილი პროდუქტი**. პროდუქტის ჩამონათვალი გამოდის **პაგინაციის** სახით.

ფილტრი

მაღაზიაში პროდუქტის გაფილტრვა შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების მიხედვით :

- კატეგორია
- რეიტინგი
- ბრენდი (შესაძლებელია რამოდენიმეს არჩევა ერთად)
- ფასი

აქციების გვერდი

თუ მაღაზიის ადმინისტრატორს სურს, რომ რომელიმე **პროდუქტი მოხვდეს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში**, მას შეუძლია დაამატოს **აქცია და ეს პროდუქტი მიაბას მას**. მომხმარებელი აქციებს იხილავს აქციების ჩამონათვალის გვერდზე, თითოეული აქცია ბმულით დაკავშირებულია კონკრეტული პროდუქტის შიდა გვერდთან. ამ აქციათაგან ერთ-ერთი მათგანი ჩანს მთავარ გვერდზეც (თუ რომელი მათგანი გამოჩნდეს ამის განსაზღვრა შეუძლია ადმინისტრატორს).

პროდუქტის შიდა გვერდი



ᲭᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲑᲐ

ᲑᲠᲔᲜᲓᲘ: LACOSTE

(2 ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ)

100 ₾ 250 ₾

Lorem Ipsum is simply dummy text of the printing and typesetting industry. Lorem Ipsum has been the industry's standard dummy text ever since the 1500s, when an unknown printer took a galley of type and scrambled it to make a type specimen book. It has

ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ: - 1 + ᲙᲐᲚᲐᲗᲨᲘ

ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ: ᲓᲘᲐᲮ

განთავსებულია :

- პროდუქტის ფოტო-გალერეა, **გალერეაში ერთიანდება პროდუქტის მთავარი ფოტო, გალერიის ფოტოები და ფოტოები ფერების მიხედვით**, ყველა ამათგანის **ატვირთვა ნებაყოფლობითია**
- სათაური
- რეიტინგი
- ძველი და ახალი ფასები
- აღწერილობა
- კალათში დამატების ღილაკი
- სურვილების სიაში დამატები ღილაკი

შემდეგ არის სრული აღწერისა და შეფასებების სექცია :



აქ მომხმარებელს შეუძლია ადმინისტრატორს გაუგზავნოს რაიმე **შენიშნვა ან კომენტარი** პროდუქტთან დაკავშირებით, ასევე გააკეთოს **პროდუქტის შეფასება** შეფასების ხუთბალიანი სისტემით. ამ შეფასებების მეშვეობით დგინდება **პროდუქტის რეიტინგი**. რეიტინგის დათვლის სქემა ასეთია : **შეფასებათა საშუალო არითმეტიკული მრგვალდება მეტობით მთელისაკენ. მაგალითად თუ საშუალო არითმეტიკული არის 3.4, მაშინ რეიტინგში ჩანს 4 ვარსკვლავი. ბუნებრივია შესაძლებელია ამ სქემის, დამკვეთის მოთხოვნის შესაფერისად გადაკეთება.**

პროდუქტის შიდა გვერდის ბოლო სექცია არის **მსგავსი პროდუქციის** ჩამონათვალის სექცია, სადაც გამოტანილია ამავე კატეგორიის სხვა პროდუქტი.

ბლოგი

ამ გვერდზე გამოტანილია სიახლეების ჩამონათვალი, სიახლეების **გაფილტრვა შესაძლებელია კატეგორიებისა და ნიშნულების (ტეგების)** მეშვეობით.

სიახლის შიდა გვერდი



მარცხენა მხარეს განთავსებულია :

- მთავრი ფოტო
- ნიშნულები (ტეგები, ერთ სიახლეზე შესაძლებელია რამდენიმე ნიშნულის მიმაგრება)
- სიახლის სათაური
- კატეგორია
- თარიღი
- სრული ტექსტი

მარჯვენა მხარეს განთავსებულია კატეგორიების ჩამონათვალი მათი შვილობილი სიახლეების ჯამურ რაოდენობასთან ერთად და ნიშნულების ჩამონათვალი. ამ **ჩამონათვალებზე მაუსის დაჭერით ხდება სიახლეების გაფილტრვა**.

სურვილების სია

აქ განთავსებულია ის პროდუქცია, რომლებიც ჩანიშნა (‘დააბუკმარკა’) მომხმარებელმა. გვერდზე განთავსებულია :

- სიის გასუფთავების ღილაკი
- სიაში შემავალი პროდუქციის, **კალათში გადატანის ღილაკი**. თუ მომხმარებელი სურვილების სიას გადაიტანს კალათში, **სურვილების სია ავტომატურად გასუფთავდება**

სურვლების სია ინახება Cookie-ბში, აქედან გამომდინარე იგი არ გასუფთავდება თუ მომხმარებელი ან უშუალოდ ამ გვერდიდან არ იზამს ამას ან ბრაუზერში არ წაშლის Cookie-ბს.

სამომხმარებლო კალათა



გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია კალათში არსებული პროდუქციის შესახებ :

- ფოტო, დასახელება, რეიტინგი
- ფასი
- რაოდენობა
- ჯამური ფასი

მომხმარებელს შეუძლია წაშალოს პროდუქტი კალათიდან ან განაახლოს მისი რაოდენობა.

ამავე გვერდზეა განთავსებული **ფასდაკლების კუპონის შესაყვანი ფორმა**, სისტემა **გვერდის ხელახალი ჩატვირთვის გარეშე, Ajax ტექნოლოგიის მეშვეობით**, გადაამოწმებს რეალური კუპონის კოდი შეიყვანა მომხმარებელმა თუ არა, თუ ეს ასე არ არის მომხმარებელი იხილავს შესაბამის შეტყობინებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ასევე **Ajax ტექნოლოგიის დახმარებით განახლდება კალათის გვერდზე არსებული ინფორმაცია პროდუქტის ღირებულების შესახებ.**

ამავე გვერდიდანაა შესაძლებელი შეკვეთის გაფორმება, ამისათვის მომხმარებელმა უნდა შეავსოს შემდეგი ველები :

- უბანი სადაც სურს მიიღოს პროდუქტი
- ზუსტი მისამართი
- გადახდის ტიპი (ონლაინ გადახდა ან საბანკო გადარიცხვა)

შეკვეთის გაგზავნის შემდეგ სამომხმარებლო კალათი სუფთავდება, მომხმარებელი კი გადადის პროფილის გვერდის შეკვეთების სექციაში.

მომხმარებლის კაბინეტი



კაბინეტში განთავსებულია სამი სექცია :

- **შეკვეთები** - მომხმარებლის მიერ გაკეთებული შეკვეთების ჩამონათვალი, აქვეა შესაძლებელიკონკრეტული შეკვეთის დეტალების გვერდზე გადასვლა, ამ გვერდზე ჩანს ინფორმაცია შეკვეთის შესახებ - მასში შემავალი პროდუქტის დასახელებები რაოდენობა ჯამური თანხები, **ჩაიბარა თუ არა შეკვეთა მომხმარებელმა** და ა.შ. შეკვეთის **ჩაბარება/არჩაბარების** განსაზღვრა შეუძლია ადმინს: მას შემდეგ რაც კურიერი დაუდასტურებს რომ მომხმარებელმა შეკვეთა მიიღო, იგი შეკვეთის სტატუსს - '**ჩაბარებულია**' გადართავს მნიშვნელობა '**კი**' - ზე.
- **პირადი ინფორმაცია** - აქ მომხმარებელს შეუძლია განაახლოს პირადი ინფორმაცია
- **პაროლის შეცვლა** - აქ მომხმარებელს შეუძლია შეცვლოს პაროლი

კონტაქტის გვერდი

ამ გვერდზე განთავსებულია ადმინსტრატორის პანელიდან მართვადი კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია და საკონტაქტო ფორმა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია ადმინისტრატორს გაუგზავნოს შეტყობინება, ეს **შეტყობინება გაიგავნება ადმინისტრატორის ელ_ფოსტაზე და ასევე შეინახება მონაცმთა ბაზაში**.





ამავე გვერდზე განთავსებულია რუკა ადმინისტრატორის მიერ შეყვანილი კოორდინატების მიხედვით გაკეთებული ნიშნულით.